

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბრძანება № 01-01/60

ქ. თბილისი

04 ოქტომბერი 2021

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2021 წლის 16 სექტემბრის N01-01/53 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის N481 დადგენილების შესაბამისად „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2021 წლის 16 სექტემბრის N01-01/53 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2021 წლის 16 სექტემბრის N01-01/53 ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პუნქტი 2. „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლის მე-2^ა პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი 2021 წლის 04 ოქტომბრიდან წარმართოს ჰიბრიდული ფორმით (დისტანციური და არადისტანციური რეჟიმი), კერძოდ სასწავლო პროცესის თეორიული ნაწილი განხორციელდება დისტანციურ რეჟიმში, ხოლო პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოები და გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს არადისტანციურ რეჟიმში“.

2. ბრძანებას დაემატოს 2¹ და 2² პუნქტები

2¹. „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად უნივერსიტეტის კოლეგიურმა ორგანოებმა - (აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს, სტუდენტთა თვითმმართველობების, და სხვა) უფლებამოსილია საქმიანობა განახორციელონ დისტანციურად, ადმინისტრაციული წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით (გადაწყვეტილებების მიღებისათვის კვორუმის დადგენა, ხმის მიცემა, ოქმის წარმოება და სხვა).

2². „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უნივერსიტეტში დასაქმებული ყველა პირი გადავიდეს მუშაობის დისტანციურ რეჟიმში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული პოზიციის/თანამდებობის პირის საგანმანათლებლო დაწესებულების

ტერიტორიაზე ყოფნა/გამოცხადება დაკავშირებულია ამ პოზიციის/თანამდებობის სპეციფიკასთან. ამ პირების მიერ საქმიანობა ხორციელდება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

3. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

4. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.

5. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი